ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2011 წლის 21 იანვარი ქ. ლაგოდეხი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 4

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16-ე მუხლის უფლებათა განსახორციელებლად, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის და საკრებულოს დებულების 50-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

1. დამტკიცდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს დავით ბაკაშვილს.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ლაგოდეხის რაიონულ სასამართლოში, მისამართი 26 მაისის ქ. №19.

საკრებულოს თავმჯდომარე: /გიორგი გოზალიშვილი/